საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

5 ნოემბერი, 2014 წელი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მისამართი:

ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ 36

სხდომის დაწყების დრო 10:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: **ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), გიორგი თევზაძე, ბონდო ალასანია, ცისმარი ონიანი, დავით ასათიანი, ირაკლი ყანდაშვილი, დათუნა მოდებაძე, ირმა ჭკადუა, მამუკა ნოზაძე, როინ მიგრიაული**

დღის წესრიგი:

1. ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ საკითხი;
2. „ადვოკატის დღესთან“ (8 ნოემბერი) დაკავშირებით ღონისძიებების დაგეგმვის და 6000 ლარის გამოყოფის შესახებ ღონისძიებების განსახორციელებლად.
3. ასოციაციის 2015 წლის ბიუჯეტის განხილვა/დამტკიცების შესახებ საკითხი;
4. ასოციაციის საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცება;
5. საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, **21[2]**მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა: **თეა გიორგობიანი, ეთერ ფირანიშვილი, ნინო ძველაია, ოთარ ჩახუნაშვილი, ნინო სიხარულიძე, ზურაბ ჯავახიშვილი, ირინე ლორთქიფანიძე, სალომე იჩქითი, მარიტა ფეოდოროვი, ნატო ჭეიშვილი, დავით გრძელიშვილი, კახაბერ მარგებაძე, სოფიკო შუბითიძე, ქეთევან ბახუტაშვილი,ანა კაპანაძე, ხათუნა სალუქვაძე, ლელა ჭანტურია, რუსუდან ფიფია**
6. აკრედიტაციის მინიჭების შესახებ (განმცხ. ააიპ „საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია“ , თემა: „გადახდისუუნარობის წარმოების აქტუალური საკითხების მიმოხილვა“

7. აკრედიტაციის მინიჭების შესახებ (განმცხ. თავისუფალი უნივერსიტეტი თემა „საგადასახადო სამართალი“);
8. ზურაბ ჯორბენაძის განცხადების განხილვა წევრობის აღდგენის შესახებ
9. ელისო ონიანის განცხადების განხილვა;
10. ირაკლი კობიძის განცხადების განხილვა;
11. სიმონ თელიაშვილი განცხადების განხილვა;
12. ადვოკატების განცხადებების განხილვა 2014 წლის საწევრო დავალიანების გაუქმების მოთხოვნით **(ანა კიკვაძე, ოლეგ ფრანგიშვილი, ივლიანე კორკელია, რუსუდან კვინიკაძე, ნატო ჯაფარიძე, მაკა ჯაფარიძე, მანანა მაჩიტიძე, ლამარა ბზიშვილი, მარიამ დარისპანაშვილი, ლალი ჯღარკავა, მაია გიოშვილი, ელგუჯა მახათაძე, გივი ხერკელაძე, ნინო მანჯავიძე, სალომე სართანია, მაყვალა მახარაშვილი, ნათელა სირაძე**)
13. **უჩა ზაქაშვილის** განცხადება ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის შესახებ;
14. გამოცდების შედეგების გასაჩივრების კომისიის დამტკიცება;
15. გამოცდების შედეგების ფასიანი გასაჩივრების შესახებ საკითხი;
16. ბიუჯეტით გათვალისწინებული სამივლინებო ხარჯებიდან 1500 ლარის გამოყოფა CCBE-ის პლენარულ სესიაზე დასასწრებად 28-30 ნოემბერი.
17. ეთიკის კომისიის იურისტის ვაკანტურ პოზიციაზე ეთიკის კომისიის საკონკურსო კომისიის მიერ არჩეული იურისტის - მედეა ინასარიძის დამტკიცება მ/წ 5 ნოემბრიდან.
18. ასოციაციის აღმასრულებელ მდივნისთვის პრემიის (1000 ლარი ხელზე) გაცემის შესახებ;
19. სხვადასხვა

პირველი საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი განცხადებები გაწევრიანების შესახებ: გიორგი გრიგალაშვილი , გელა ცინცაძე , ია უგულავა, გიორგი ცაბაძე, ლევან ბერძენაშვილი ,ხათუნა ბაბუნაშვილი, ზაზა ზარიძე , მარიამ კლდიაშვილი , თეა მელუა, რუსუდან ჟოჟაძე, მაკა ცერცვაძე, ანა აბაშიძე, გიორგი მესროფაშვილი, თამრიკო ჭეჭელაშვილი, თინათინ ნეფარიძე, რუსუდან ხაზარაძე, ლიკა ფანცუალაია, ქრისტინე ფიფია, თეა ზაუტაშვილი, ქეთევან ბახტაძე, დავით დალაქიშვილი, სალომე კალანდაძე, მარინე ახალაური, დიმიტრი გოგალაძე, რატი ტაბატაძე, ირაკლი დუნდუა, თამარ ბაკურიძე, თინათინ ურუშაძე, ქეთევან ტატიშვილი, ჯანსუღ ტერტერაშვილი,თამთა ხურციძე, ნინო გადილია, თინა ჯულუხაძე, თამარ გოძელანძე, შალვა გიორგაძე, მარიამ ფარცვანია,ნატო ირემაძე, თიკო ახვლედიანი, ნატო ქაჯაია, თამარ როგავა, ქეთევან ფირანიშვილი, თეონა ხმალაძე, თამარ ზურაბაშვილი, თამთა თოფჩიშვილი, თინათინ ზოიძე, ბესიკ ლოლაძე. <u>დაკმაყოფილებულ იქნას ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები:</u> შალვა ხუციშვილი, დავით მდინარაძე, ანა თოდაძე, რამაზ კუპრეიშვილი, ლალი მარტიაშვილი, სოფიკო ნოღაშვილი. ასევე, დაკმაყოფილებულ იქნას დავით მდინარაძის განცხადება

საქართველოს კანონის ა“ადვოკატთა შესახებ“, 21^2მუხლის, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ .

<u>გადაწყვეტილება</u>: დაკმაყოფილებულ იქნას გიორგი გრიგალაშვილის, გელა ცინცაძის, ია უგულავას, გიორგი ცაბაძის, ლევან ბერძენაშვილის, ხათუნა ბაბუნაშვილის, ზაზა ზარიძის, მარიამ კლდიაშვილის,თეა მელუას, ქეთევან ფირანიშვილის განცხადებები გაწევრიანების შესახებ და ამავე კანონის 21^2მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, მათ გაწევრიანებისთანავე შეუჩერდეთ წევრობა.

<u>გადაწყვეტილება:</u> გაუქმდეს შორენა კობიძის მიმართ დარჩენილი 2013 წლის საწევრო დავალიანება და ხელახლა იქნას გაწევრიანებული ასოციაციაში.

გ)

<u>გადაწყვეტილება:</u> არ დაკმაყოფილდეს დავით ღვალაძის, ლევან ონიანის და ზურაბ ინასარიძის განცხადებები ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე და წერილობით ეცნობოთ გადაწყვეტილების შესახებ; ასევე, განემარტოთ აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ.

დ)<u>გადაწყვეტილება:</u>

1. დაევალოს ირაკლი გვარამაძეს ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტი, რითაც დადასტურდება მისი იურისტად მუშაობის ფაქტი;
2. შეჩერდეს ირაკლი გვარამაძის განცხადების განხილვა მის მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
3. ირაკლი გვარამაძის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;

ე)

<u>გადაწყვეტილება:</u>

1. დაევალოს ტრისტან დოღოზაშვილს ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტი, რითაც დადასტურდება მისი იურისტად მუშაობის ფაქტი;
2. შეჩერდეს ტრისტან დოღოზაშვილის განცხადების განხილვა მის მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
3. ტრისტან დოღოზაშვილის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს

მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;

3)

<u>გადაწყვეტილება</u>:

4. დაევალოს მიხეილ ჯახუას ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტი, რითაც დადასტურდება მისი იურისტად მუშაობის ფაქტი;
5. შეჩერდეს მიხეილ ჯახუას განცხადების განხილვა მის მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
6. მიხეილ ჯახუას განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;

მე-2 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> „ადვოკატის დღესთან“ (8 ნოემბერი) დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ასოციაციის 2014 წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნას 6000 (ექვსი ათასი) ლარი. შევიდეს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის 2014 წლის ბიუჯეტში.

მე-3 საკითხი:

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო ასოციაციის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი. მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტი არის მისი ხედვა, თუ რა პრიორიტეტებისკენ უნდა იყოს მიმართული ბიუჯეტის როგორც ხარჯვითი ნაწილი, ასევე, როგორ შეიძლება გაიზარდოს შემოსავლითი ნაწილი და ა.შ. მან სთხოვა წევრებს, რომ აღნიშნული ბიუჯეტის პროექტის მათთვის გადაგზავნის შემდეგ, 3 დღის ვადაში მოეწოდებინათ შენიშვნები თუ მოსაზრებები და მ/წ 15 დეკემბრამდე დაემტკიცებინათ 2015 წლის ბიუჯეტი. წევრებმა განაცხადეს, რომ ბიუჯეტის სწორი შედგენა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და საბჭოს სრული შემადგენლობა უნდა იყოს ჩართული ამ პროცესში, რათა ბიუჯეტში სწორად იქნას გათვალისწინებული პრიორიტეტები და გარდა იმისა, რომ უნდა შენარჩუნდეს ბიუჯეტში არსებული თანხების მიზნობრივი გახარჯვის პრაქტიკა, ასოციაციამ მუშაობა უნდა დაიწყოს ბიუჯეტის გაზრდის ტენდენციაზე და გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები. წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან ბიუჯეტის შედგენის პროცესში სრული ჩართულობისთვის, დადგენილ ვადაში მოამზადებენ წინადადებებს და შეჯერებული ვარიანტი დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნება მომდევნო სხდომაზე.

მე-4 საკითხი: ასოციაციის საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების საკითხი გადაიდო.

მე-5 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება</u>: საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21[2]მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს თეა გიორგობიანის, ეთერ ფირანიშვილის, ნინო ძველაიას, ოთარ ჩახუნაშვილის, ნინო სიხარულიძის, ზურაბ ჯავახიშვილის, ირინე ლორთქიფანიძის, სალომე იჩქითის, მარიტა ფეოდოროვის, ნატო ჭეიშვილის, დავით გრძელიშვილის, კახაბერ მარგებაძის, სოფიკო შუბითიძის, ქეთევან ბახუტაშვილის, ანა კაპანაძის, ხათუნა სალუქვაძის, ლელა ჭანტურიას, რუსუდან ფიფიას განცხადებები განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

მე-6 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> მიენიჭოს აკრედიტაცია თემას „გადახდისუუნარობის წარმოების აქტუალური საკითხების მიმოხილვა“.

მე-7 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> მიენიჭოს აკრედიტაცია თემას „საგადასახადო სამართალი“.

მე-8 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u>

1. შეჩერდეს ზურაბ ჯორბენაძის განცხადების განხილვა მის მიერ 50 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენამდე;
2. ზურაბ ჯორბენაძის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განცხადების ავტორს ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ;

მე-9 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> დაკმაყოფილდეს ელისო ონიანის განცხადება მის მიმართ 2013 წლის საწევრო გადასახადის გაუქმების მოთხოვნით და ხელახლა იქნას გაწევრიანებული ასოციაციაში;

მე-10 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, უარი ეთქვას ი.კობიძეს განცხადების დაკმაყოფილებაზე (რეგისტრაციის თარიღი: 16.10.2014);

მე-11 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> სიმონ თელიაშვილს განემარტოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

მე-12 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> დაკმაყოფილდეს ანა კიკვაძის, ოლეგ ფრანგიშვილის, ივლიანე კორკელიას, რუსუდან კვინიკაძის, ნატო ჯაფარიძის, მაკა ჯაფარიძის, მანანა მაჩიტიძის, ლამარა ბზიშვილის, მარიამ დარისპანაშვილის, ლალი ჯღარკავას, , მაია გიოშვილის, ელგუჯა მახათაძის, გივი ხერკელაძის, ნინო მანჯავიძის, სალომე სართანიას, ლალი ბუნტურის, დიანა მარტიაშვილის, მაყვალა მახარაშვილის, ნათელა სირაძის განცხადებები 2014 წლის საწევრო გადახადისგან გათავისუფლების შესახებ. არ იქნას განხილული ოლეგ ფრანგიშვილის, ლალი ბუნტურის და დიანა მარტიაშვილის განცხადებები 2015 წლის საწევრო გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განცხადებების ავტორებს.

მე-13 საკითხი:

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო **უჩა ზაქაშვილის** განცხადება ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის შესახებ; წევრებმა განმარტეს, რომ ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობისთვის რეგისტრაციის ვადა დასრულდა მ/წ 15 ოქტომბერს, 18:00 საათზე. ასევე განმარტეს, რომ გამომდინარე იქიდან, რომ გამოცდები ტარდება ელექტრონულად და რეგისტრაციაც ხორციელდება ელექტრონული პროგრამის საშუალებით, აღნიშნული თარიღის შემდეგ, ტექნიკურად შეუძლებელია რეგისტრაციის გავლა. ამდენად, საბჭო თვლის, რომ ამ თვალსაზრისით, აღნიშნული განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება სრულიად უშედეგოა.

მე-14 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u>დამტკიცდეს ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების გასაჩივრების კომისიის შემადგენლობა წარმოდგენილი სახით: კონსტიტუციური სამართალი –გიორგი კვერენჩხილაძე; საერთაშორისო სამართალი – კონსტანტინე კორკელია; ადმინისტრაციული სამართალი – ირმა ხარშილაძე; სამოქალაქო სამართალი – ზურა

ძლიერიშვილი; სამოქალაქო სამართლის პროცესი – ეკატერინე გასიტაშვილი; სისხლის სამართალი – ირაკლი დვალიძე;სისხლის სამართლის პროცესი – გიორგი თუმანიშვილი.

მე-15 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ტესტების გასაჩივრების პროცედურა გახდეს ფასიანი და ერთი ტესტის გასაჩივრების საფასურად დადგინდეს 10 ლარი.

<u>გადაწყვეტილება:</u> ასოციაციის 2014 წლის ბიუჯეტის სამივლინებო ხარჯებიდან გამოყოფილ იქნას 1500 ლარი, მ/წ 28-30 ნოემბერს დაგეგმილ ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) პლენარულ სესიაზე თავმჯდომარის დასწრების მიზნით. შესაბამისი ცვლილება შევიდეს ასოციაციის 2014 წლის ბიუჯეტში.

მე-17 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> მ/წ 5 ნოემბრიდან ეთიკის კომისიის იურისტის ვაკანტურ პოზიციაზე დამტკიცდეს ეთიკის კომისიის საკონკურსო კომისიის მიერ არჩეული იურისტი - მედეა ინასარიძე.

მე-18 საკითხი:

<u>გადაწყვეტილება:</u> ასოციაციის აღმასრულებელი მდივანზე - ინგა ნებიერიძეზე გაიცეს პრემია 1000 ლარის ოდენობით (ხელზე) და შესაბამისი ცვლილება შევიდეს ასოციაციის 2014 წლის ბიუჯეტში.

აღმასრულებელი საბჭოს მომდევნო სხდომა ჩაინიშნა მ/წ 5 დეკემბერს, 10:00 საათზე.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ზაზა ხატიაშვილი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის“ თავმჯდომარე